საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება საერთაშორისო შეთანხმებაა, რომლითაც მოხდება საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება ყველა სფეროში. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ნაწილს წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. ასოცირების შეთანხმების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. შეთანხმება 1000-მდე გვერდს მოიცავს და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივად დაახლოებას.

ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება 2013 წლის 29 ნოემბერს მოხდა, რაც ნიშნავს, რომ „არსებული ტექსტი შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ რედაქციულ შესწორებებს“. შეთანხმების ხელმოწერა დაგეგმილია 2014 წლის ივნისში. ასოცირების შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, დოკუმენტის ხელმოწერისთანავე ამოქმედდება, ხოლო მისი სრულად ამოქმედება მოხდება ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის ეროვნული პარლამენტის, ევროპარლამენტის და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდეგ. ამ პროცესს, სავარაუდოდ, 2-3 წელი დასჭირდება.





შეთანხმების განხორციელება საქართველოს ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით მოხდება. ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს რეფორმების განხორციელებაში ექსპერტებით და სახელმწიფო ბიუჯეტისათვის თანხების გამოყოფის გზით. საქართველო, ასევე, შეძლებს თანხების მიღებას ევროპის საფინანსო ორგანიზაციებიდან ინფრასტრუქტურული პროექტების (მათ შორის, გზების, ხიდების, წყალმომარაგების სისტების და ა.შ.) განსახორციელებლად.

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და ეხმარება საქართველოს მშვიდობიანი გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, რაც გაგრძელდება ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგაც.

ასოცირების შეთახმების თანახმად, საქართველო და ევროკავშირი განახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა უზრუნველყონ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა.

ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულია თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, რაც ნიშნავს ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოში წარმოებული პრაქტიკულად ყველა პროდუქტის გატანას საბაჟო გადასახადის გარეშე.

# საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი

ასოცირების შეთანხმების განხორციელების შედეგად საქართველოში ამაღლდება ცხოვრების დონე. კერძოდ:

1. გაუმჯობესდება ადამიანის უფლებების დაცვა და უზრუნველყოფილი იქნება კანონის უზენაესობა;
2. გაიზრდება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა;
3. უფრო მეტად შეეწყობა ხელი სიტყვისა და მედიის, ასევე გაერთიანების თავისუფლებას;
4. კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდება დაწყებითი განათლება მშობლიურ ენაზე;
5. გაუმჯობესდება საზოგადოების ჩართულობა ქვეყნის მართვაში;
6. ხელი შეეწყობა რეგიონებს შორის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას და რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას;
7. გაიზრდება თანამშრომლობის შესაძლებლობები საქართველოს რეგიონებსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების რეგიონებს შორის;
8. საქართველოს რეგიონებს მიეცემათ მეტი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის პროგრამებისა და პროექტების განხორციელებაში;
9. ხელი შეეწყობა დასაქმებასა და შრომასთან დაკავშირებით ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრას;
10. გაუმჯობესდება დასაქმებულთა უფლებების დაცვა;





11. შრომასთან დაკავშირებული კანონმდებლობის პრაქტიკაში განხორციელების კონტროლის მიზნით, შეიქმნება სპეციალური სამსახური;
12. ხელი შეეწყობა შრომის პირობების გაუმჯობესებას;
13. დასაქმებულთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დაინერგება შრომითი სტანდარტები;
14. ხელი შეეწყობა სამართლიანი სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბებას;
15. გაძლიერდება ჯანმრთელობის დაცვის სისტემა და გაუმჯობესდება სამედიცინო მომსახურების ხარისხი;
16. მეტი ყურადღება დაეთმობა დაავადებების პრევენციას, ადრეულ სტადიაზე გამოვლენასა და კონტროლს;
17. წახალისდება ცხოვრების ჯანსაღი წესი;
18. გაუმჯობესდება კერძო საკუთრებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, მათ შორის, სასაქონლო ნიშნები, გეოგრაფიული აღნიშვნები, დიზაინი, პატენტები (და ა.შ.) დაცვა;
19. გაძლიერდება ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის, კორუფციის, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გამოყენების, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა;
20. გაიყიდება მხოლოდ უვნებელი საკვები და უსაფრთხო პროდუქცია;
21. საქართველოში ჩამოყალიბდება ევროკავშირის ბაზართან თავსებადი ბაზარი;



22. გამარტივდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ექსპორტისა და იმპორტის პროცედურები;
23. გაუმჯობესდება კონკურენტული გარემო;
24. გაიზრდება ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკის ყველა დარგში, მათ შორის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვის, კულტურის და სხვა სფეროებში;
25. დაარსდება ახალი კომპანიები და შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები;
26. საქართველო ევროკავშირის ერთიან ენერგეტიკულ სისტემაში ჩაერთვება;
27. გაიზრდება საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება, რაც გულისხმობს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მომხმარებლისათვის უწყვეტად მიწოდებას;
28. გაიზრდება ქართული პროდუქციის (მათ შორის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის) ხარისხი და მისი კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს მათ შორის, ევროკავშირის ბაზრებზე;
29. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებისათვის შეიქმნება ახალი საწარმოები. ასევე, მოხდება არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების განახლება/მოდერნიზება;
30. ქვეყნის ტერიტორია უკეთ იქნება დაცული ცხოველებისა და მცენარეების დაავადებების შემოტანისა და გავრცელებისაგან;
31. გაიზრდება ევროკავშირის ქვეყნებიდან ტურისტების რიცხვი;
32. გაიზრდება უმაღლესი განათლების ხარისხი და დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს;





33. გაფართოვდება თანამშრომლობა ევროპისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებს შორის;
34. გაიზრდება გაცვლითი პროგრამების რაოდენობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტები, მეცნიერები და პროფესორ-მასწავლებლები;
35. განვითარდება პროფესიული განათლების და გადამზადების სისტემები;
36. გაიზრდება საგზაო, (სახმელეთო) საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ხარისხი და უსაფრთხოება;
37. განხორციელდება პროექტები წყალსადენი სისტემების წესრიგში მოყვანისა და მოსახლეობის სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით;
38. განხორციელდება სასმელი წყლის და ჰაერის ხარისხის მუდმივი კონტროლი როგორც ქალაქებში, ასევე, რეგიონებში;
39. ტბებისა და შავი ზღვის სანაპირო წყლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის მოხდება ამ ზონების კეთილმოწყობა. საბანაო წყლებში განხორციელდება დამაბინძურებელი ნივთიერებების რეგულარული კონტროლი;
40. გაიზრდება საწარმოთა ვალდებულებები, რომ იზრუნონ გარემოს დაცვაზე შესაბამისი გარემოსდამცავი ტექნოლოგიების დანერგვის გზით;
41. ამუშავდება პრინციპი „დამბინძურებელი იხდის" - ნარჩენების წარმომქმნელი ან მფლობელი ვალდებული იქნება გაიღოს ნარჩენების შემცირებასთან, გაუვნებელყოფასა და უსაფრთხოდ განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯები;

42. გაუმჯობესდება ნაგავსაყრელების მდგომარეობა; ამოქმედდებანარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები;
43. გატარდება ღონისძიებები წყალდიდობების რისკების შემცირების მიმართულებით;
44. დაიხვეწება ბიომრავალფეროვნების, მათ შორის, გადაშენების პირას მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობების დაცვის მექანიზმები. გაუმჯობესდება მათი მდგომარეობა და საბინადრო გარემო;
45. დაინერგება ტყის რესურსების მართვის, აღრიცხვისა და გონივრულად გამოყენების ევროპაში არსებული გამოცდილება;
46. დაიხვეწება კონტროლის სისტემა ხე-ტყის უკანონო ჭრისა და უკანონი ვაჭრობის აღმოფხვრის მიზნით.
47. ხელი შეეწყობა საქართველოს კულტურის პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და დაცვას;
48. ხელი შეეწყობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს კულტურის პოპულარიზაციას;
49. ხელი შეეწყობა ყველა მომხმარებლისათვის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიუხედავად, სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას ხელმისაწვდომ ფასად;
50. ხელი შეეწყობა სატელეკომუნიკაციო მომსახურების სახეების მრავალფეროვნებას და ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვას.

